

შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	4
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-29

სხვა ინფორმაცია – მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო

სკოლის ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური ფულადი სახსრების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწერილობითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი

მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2024 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2024 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ შეეხება დამასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიის უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ფასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ფასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ექვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.
მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარი კაპანაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087). შპს აუდიტ-თა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931).

თამარი კაპანაძე

შპს აუდიტ-თა

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025 წელი

- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის გარიგებებს და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.
მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამარი კაპანაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-115087). შპს აუდიტ-თა (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-245931).

თამარი კაპანაძე

შპს აუდიტ-თა

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2025 წელი



თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	8	21,420	20,652
საოპერაციო დანახარჯები			
დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯები	9	(11,131)	(9,388)
საგანმანათლებლო მასალები		(491)	(510)
საკვები მოსწავლეთათვის		(428)	(173)
მარკეტინგის ხარჯები		(195)	(85)
საგანმანათლებლო ტურები		(314)	(454)
საოფისე დანახარჯები		(165)	(119)
კლასგარეშე აქტივობები		(150)	(135)
პერსონალის ტრენინგი და დაქირავება		(228)	(110)
საგანმანათლებლო პორტალების გამოწერის საფასური		(141)	(126)
რემონტისა და მოვლა-შენახვის დანახარჯები		(118)	(100)
ტრანსპორტირების ხარჯები		(89)	(88)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი		(73)	2
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება		(63)	(19)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(42)	(38)
საკომუნიკაციო დანახარჯები		(12)	(11)
სხვა ზარალი	10	(915)	(930)
მოგება ფინანსურ ხარჯებამდე და ფინანსურ შემოსავლებამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე და სხვა შემოსავლებამდე და ხარჯებამდე		6,865	8,368
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(675)	(478)
სავალუტო მოგება		125	87
საფინანსო ხარჯები	18	(31)	-
საფინანსო შემოსავალი		3,742	2,821
სხვა შემოსავლები და ხარჯები		(1)	-
მოგება მოგების გადასახადის დანახარჯამდე		10,025	10,798
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		10,025	10,798
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		10,025	10,798


გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

ბადრი ჯირაშვილი
 დირექტორი

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
	ა		
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	8	21,420	20,652
საოპერაციო დანახარჯები			
დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯები	9	(11,131)	(9,388)
საგანმანათლებლო მასალები		(491)	(510)
საკვები მოსწავლეთათვის		(428)	(173)
მარკეტინგის ხარჯები		(195)	(85)
საგანმანათლებლო ტურები		(314)	(454)
საოფისე დანახარჯები		(165)	(119)
კლასგარეშე აქტივობები		(150)	(135)
პერსონალის ტრენინგი და დაქირავება		(228)	(110)
საგანმანათლებლო პორტალების გამოწერის საფასური		(141)	(126)
რემონტისა და მოვლა-შენახვის დანახარჯები		(118)	(100)
ტრანსპორტირების ხარჯები		(89)	(88)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი		(73)	2
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება		(63)	(19)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(42)	(38)
საკომუნიკაციო დანახარჯები		(12)	(11)
სხვა ზარალი	10	(915)	(930)
მოგება ფინანსურ ხარჯებამდე და ფინანსურ შემოსავლებამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე და სხვა შემოსავლებამდე და ხარჯებამდე		6,865	8,368
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(675)	(478)
სავალუტო მოგება		125	87
საფინანსო ხარჯები	18	(31)	-
საფინანსო შემოსავალი		3,742	2,821
სხვა შემოსავლები და ხარჯები		(1)	-
მოგება მოგების გადასახადის დანახარჯამდე		10,025	10,798
მოგების გადასახადი		-	-
წლის მოგება		10,025	10,798
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		10,025	10,798

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.


 ბადრი ჯირაშვილი
 დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-29, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წ. 31 დეკ.	2023 წ. 31 დეკ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	9,030	8,720
არამატერიალური აქტივები		71	-
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	12	125	125
გაცემული სესხები		38,442	32,620
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,668	41,465
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		262	227
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	112	152
გაცემული სესხები		2,586	-
გადახდილი ავანსები	12	408	464
საგადასახადო აქტივები, ნეტო		74	88
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	2,657	409
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,099	1,340
სულ აქტივები		53,767	42,805
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	3,055	3,055
გაუნაწილებელი მოგება		36,992	26,967
სულ კაპიტალი		40,047	30,022
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	247	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,570	1,605
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,817	1,605
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	14	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	48	50
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები	19	249	243
სახელშეკრულებო ვალდებულებები	8	11,592	10,885
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,903	11,178
სულ ვალდებულებები		13,720	12,783
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		53,767	42,805


გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

ბადრი ჯირაშვილი
 დირექტორი

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წ. 31 დეკ.	2023 წ. 31 დეკ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	9,030	8,720
არამატერიალური აქტივები		71	-
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	12	125	125
გაყვანილი სესხები		38,442	32,620
სულ გრძელვადიანი აქტივები		47,668	41,465
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		262	227
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	112	152
გაყვანილი სესხები		2,586	-
გადახდილი ავანსები	12	408	464
საგადასახადო აქტივები, ნეტო		74	88
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	2,657	409
სულ მოკლევადიანი აქტივები		6,099	1,340
სულ აქტივები		53,767	42,805
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	3,055	3,055
გაუნაწილებელი მოგება		36,992	26,967
სულ კაპიტალი		40,047	30,022
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	247	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	1,570	1,605
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,817	1,605
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	18	14	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	48	50
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები	19	249	243
სახელშეკრულებო ვალდებულებები	8	11,592	10,885
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		11,903	11,178
სულ ვალდებულებები		13,720	12,783
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		53,767	42,805

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.


 ბადრი ჯირაშვილი
 დირექტორი

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ კაპიტალი
2023 წ. 1 იანვრის მდგომარეობით		21	16,169	16,190
წლის სრული შემოსავალი სულ		-	10,798	10,798
ზრდა საწესდებო კაპიტალში	15	3,034	-	3,034
ნაშთი 2023 წ. 31 დეკემბერს		3,055	26,967	30,022
წლის სრული შემოსავალი სულ		-	10,025	10,025
ზრდა საწესდებო კაპიტალში	15	-	-	-
ნაშთი 2024 წ. 31 დეკემბერს		3,055	36,992	40,047

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
სწავლის საფასურიდან მიღებული ფულადი სახსრები		21,449	20,245
სხვა მომსახურებებიდან მიღებული ფულადი სახსრები		353	725
წმინდა შემოსულობები მოსწავლეების დეპოზიტებიდან		(182)	304
მომსახურებებისა და საქონელისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,794)	(2,417)
გაცემული ხელფასები და სარგებელი		(11,230)	(10,181)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(67)	(9)
მიღებული პროცენტი		190	140
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		7,719	8,807
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვისა და მშენებლობისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(982)	(849)
გაცემული სესხები		(4,860)	(9,053)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(5,842)	(9,902)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	18	317	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	18	(21)	-
გადახდილი პროცენტი	18	(29)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		267	-
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		2,144	(1,095)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	408	1,426
სავალუტო კურსის სხვაობების გავლენა ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან		104	78
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	2,657	409

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-29, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა“, საიდენტიფიკაციო კოდი 405351943 (შემდგომში „კომპანია“), წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 5 სექტემბერს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრეა შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია, საიდენტიფიკაციო კოდი 204497829. კომპანიის საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელია სს საქართველოს კაპიტალი ("GCAP") - კომპანია, რომელიც დაარსებულია გაერთიანებულ სამეფოში და რეგისტრირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას შვილობილი კომპანიები არ ჰყავს.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბავშვო ბაღის/წინასასკოლო მზაობის მოსწავლეებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლეო კვაჭაძის ქ., №17.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში. საქართველოში შედარებით სტაბილური პოლიტიკური ვითარება და ლიბერალური საბაზრო ეკონომიკაა დაბალი გადასახადებით და რეგულაციებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე.

კომპანია ოპერირებს კერძო განათლების ბაზარზე. საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად საქართველოში კერძო სკოლებში დაახლოებით 70,300 მოსწავლე სწავლობს, რაც წარმოადგენს სასკოლო განათლების ბაზრის 11%-ს. საქართველოში კერძო განათლების ბაზარი, საბავშვო ბაღიდან მე-12 კლასის ჩათვლით, გაიზარდა საშუალო წლიური ზრდის განაკვეთით ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ამგვარ ზრდას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა - მოსწავლეთა მიღების ზრდა საშუალო წლიური ზრდის განაკვეთით 3% 2014-2024 წლებში და სწავლის საფასურის ზრდა საშუალო წლიური ზრდის განაკვეთით 7% იმავე პერიოდში.

საქართველოში შედარებით დაბალია წლიური ხარჯი K-12 (საბავშვო ბაღიდან მე-12 კლასის ჩათვლით) თითოეულ მოსწავლეზე. საქართველოში განათლების ბაზარი ამჟამად ძალიან ფრაგმენტირებულია: ბოლო შვიდი წლის განმავლობაში სკოლების საშუალო სიდიდის ზრდით და 13%-ით ნაკლები რაოდენობის სკოლით ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემების მიხედვით. საქართველოს საბავშვო ბაღებიდან მე-12 კლასამდე კერძო განათლების ბაზრის შემოსავლები ბოლო ათწლეულის განმავლობაში საშუალო წლიური ზრდის განაკვეთით 10%-ით გაიზარდა. კერძო ზოგადი განათლების ბაზარი სარგებლობს მოსწავლეთა მიღების ზრდით, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში საშუალო წლიური 3%-იანი ზრდით ხასიათდება, და საშუალო სწავლის საფასურის ზრდით, რომელიც იმავე პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად 7%-ით გაიზარდა.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. კომპანიას არ აქვს რაიმე პირდაპირი კავშირი/ურთიერთობა უკრაინასთან, რუსეთთან და ბელორუსთან.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო(გაგრძელება)

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ომს არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. რადგან ომი ჯერ კიდევ მძვინვარებს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს მისი სრული ზეგავლენა კომპანიაზე, თუ გავითვალისწინებთ გაურკვევლობას მისი პოტენციური ზემოქმედების შესახებ ეკონომიკაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით ადევნებს თვალყურს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

კლიმატის ცვლილება. კომპანია ექვემდებარება კლიმატის ცვლილების რისკს. კლიმატის ცვლილების რისკებთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიას საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ გამოეხმაურება მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც კომპანია ოპერირებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის გამჟღავნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია შესაბამის განმარტებით შენიშვნებში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ შენიშვნა 5.

ფასს-ის შესაბამისად ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას ან შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული სავალუტო კურსით, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, როგორც სავალუტო ზარალი. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა შემოსულობა/(ზარალი)“, - ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის კაპიტალ-

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ინვესტიციები, გადაანგარიშდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც სამართლიანი ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8068 ლ (2023 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლ). ქართული ლარი ამჟამად არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ზარალით.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შემენის ღირებულებას, მათ შორის საბაჟო მოსაკრებლებს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტებს და სხვადასხვა სახის ფასდათმობებს; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება მუხლის იმ ლოკაციამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით; (გ) მუხლის დემონტაჟის, ამოღებისა და მისი ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯების საწყის შეფასებას; (დ) ვალდებულებას, რომელიც კომპანიას ეკისრება მუხლის შემენისას, ან როგორც იმის შედეგი, რომ მუხლის გამოყენება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხორციელდებოდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოების გარდა სხვა მიზნებისთვის; ხოლო კვალიფიციური აქტივებისთვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდა კომპანიის ძირითად სააღრიცხვო პრინციპებთან შესაბამისობაში.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა რემონტის და საექსპლუატაციო დანახარჯები აისახება მოგება-ზარალში იმ ფინანსურ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი დარიცხვა.

შემდგომში კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს მსხვილ ხარჯებს იმ გაუმჯობესებების და ჩანაცვლებებისთვის, რომელიც ზრდის აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდის მათი ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას. სარემონტო და ექსპლუატაციის ხარჯები, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, გაწვევითანავე დაირიცხება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება ისე, რომ ჩამოიწეროს ცვეთის თანხა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კომპანიას ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	30-50 წელი
ავტომობილები	5 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	5-7 წელი
ბიბლიოთეკის წიგნები	3 წელი
სხვა	3-7 წელი

ცვეთის თანხა წარმოადგენს ძირითადი საშუალებების მუხლის ღირებულებას მისი ნარჩენი ღირებულების გარეშე. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მოელის ამ აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, როგორც ცვლილება საადრიცხო შეფასებაში.

აქტივის გასვლის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვების შემოსულობებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა, იგივე საფუძველზე, როგორც სხვა ძირითადი საშუალებების მუხლებს, იწყება მაშინ, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია, ე.ი. მაშინ, როდესაც ისინი იმ ლოკაციასა და მდგომარეობაშია, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით.

აქტივების გამოყენების უფლება: აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, და კორექტირდება იჯარის ვალდებულებების ნებისმიერი ხელახლა შეფასებისთვის. აქტივების გამოყენების უფლების ღირებულება მოიცავს აღიარებული იჯარის ვალდებულებების ოდენობას, დარიცხულ საწყის პირდაპირ ხარჯებს და საიჯარო გადახდებს, რომლებიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მის მერე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით. აღიარებულ აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადებს შორის უმოკლესით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა და ამორტიზაცია ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანუღირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია თავის ყველა ფინანსურ აქტივს ამორტიზებული ღირებულების კატეგორიაში აჯგუფებს. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად. კომპანიის ერთადერთი მიზანია აქტივებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, მაშინ კომპანია შეაფასებს წარმოადგენენ თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”).

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანიას აქვს ფინანსური აქტივების ორი ტიპი, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს – სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებულია ინდივიდუალური შეფასების მიდგომა. მე-3 შენიშვნა გვაწვდის ინფორმაციას ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების ტექნიკის შესახებ, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის იმის განმარტებას, თუ როგორ ჩართავს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ინდიკატორები, რომ არ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი, მოიცავს: 360 დღეზე მეტ ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებას, ლიკვიდაციის ან გაკოტრების პროცესს ან შემთხვევას, როდესაც სააღსრულებო საქმიანობა დასრულდა. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არა დაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული („AC“).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისა და კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება კანონმდებლობის ცვლილების შემთხვევაშიც.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადი

აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად, შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს. ყველა სხვა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები დანახარჯებში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მათი გაწევა მოხდა. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროცენტს და სხვა ხარჯებს, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარისგან გამოწვეული ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას: ფიქსირებული გადახდები (არსებითი ფიქსირებული გადასახადების ჩათვლით), საიჯარო წამახალისებელი თანხების შემცირებით. იჯარის გადახდები განაწილდება ძირითადი თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის. მუდმივი პერიოდული განაკვეთის დასადგენად, კომპანია იყენებს მესამე მხარის დაფინანსების ბოლოდროინდელ განაკვეთს, რომელიც გაცხადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. იჯარის გადახდები განაწილება მირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის. აპარატურისა და სატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან და დაბალღირებულებიანი აქტივების ყველა იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც მოგება ან ზარალის ხარჯი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომლებსაც საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები აქვთ.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ხარჯების გათვალისწინებით კორექტირებული სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. ჯგუფი იყენებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების ტექნიკას დაკავშირებული მხარეებისთვის გაცემული სესხების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ ივაჭრება აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარჩების გამოკლებით.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ,

ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი პრობლემებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები პროცენტისა და ჯარიმების გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობისთვის პროცენტთან და ჯარიმებთან დაკავშირებით აღირიცხება ფინანსურ ხარჯებსა და სხვა შემოსულობებში/ (ზარალი), წმინდად, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი. ჩასათვლელი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. გადახდილი დღგ ჩვეულებრივ ანაზღაურდება ჩასათვლელი დღგ-სგან დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყარო, კერძოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება, გათავისუფლებულია ჩასათვლელი დღგ-სგან, ყველა გადახდილი დღგ-ს ანაზღაურების უფლების შენარჩუნების გარეშე. გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე და განმარტებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ან ვალდებულებების ნაწილში. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორება.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი გათვალისწინებულია წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ბოლომდე ძალაში შესული ან მომავალში მისაღები კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა. ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტობრივი მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. გაუთვალისწინებელი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადაიხდება ხარჯებზე ან სხვა გადასახადებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები და ამ საწარმოებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე მოთხოვნილი ან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული მომსახურების გარეშე, ან ფიზიკური და არარეზიდენტი პირებისთვის გაცემული სესხების ანაზღაურება აღირიცხება მუხლში „გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა“ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიას წესდების მიხედვით. კომპანიას წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ კომპანიას მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და კაპიტალიდან გამოიქვეთება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. კომპანიის სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძველს განსაზღვრავს როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

ამონაგების აღიარება. კომპანია საქმიანობს მოსწავლეთათვის სწავლების მომსახურების მიწოდების ბიზნესში.

კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხად, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომლის გადახდასაც კომპანია მოელის, ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. შესრულების ვალდებულება წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს ან მომსახურებას (ან საქონლის ან მომსახურების პაკეტს) ან განსხვავებული საქონლის ან მომსახურებების რიგს, რომლებიც არსებითად ერთიდაიგივეა. კონტროლის გადაცემა დროთა განმავლობაში ხდება და ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება შესაბამისი შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილებისკენ მიმავალი პროგრესის გათვალისწინებით, თუ რომელიმე შემდეგი კრიტერიუმია დაკმაყოფილებული:

- მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის საქმიანობით გათვალისწინებულ სარგებელს, კომპანიის საქმიანობის შესრულებასთან პარალელურად;
- კომპანიის საქმიანობა ქმნის ან აძლიერებს აქტივს, რომელსაც მომხმარებელი აკონტროლებს კომპანიის საქმიანობის შესრულებისას; ან
- კომპანიის საქმიანობის შესრულება არ ქმნის აქტივს კომპანიისთვის ალტერნატიული გამოყენებისთვის და კომპანიას გააჩნია ვადაში დასრულებული საქმიანობის შედეგებისთვის გადახდის მიღების იურიდიულად გამყარებული უფლება

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამონაგები აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს განსხვავებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას მომხმარებელს გადასცეს ის საქონელი ან მომსახურება, რომლისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება (ან ანაზღაურება მისაღება) მომხმარებლისგან.

ხელშეკრულების აქტივი და ხელშეკრულების ვალდებულება, რომელიც ეხება ერთსა და იმავე ხელშეკრულებას, აღირიცხება და წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

შემდეგი მოსაზრებები მნიშვნელოვანია შემოსავლების კონკრეტული ნაკადებისათვის:

შემოსავალი სწავლის ღირებულებიდან. კომპანიის ხელშეკრულებები მომხმარებლებთან ფორმდება ერთი წლით, ხელშეკრულებებში მითითებულია წლიური გადასახადი, წლიური გადასახადის გადახდა ხდება წინასწარ სწავლის დაწყებამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია მოსწავლეებს სთავაზობს საგანმანათლებლო მომსახურებას: საერთაშორისო პროგრამა. საერთაშორისო პროგრამა მოიცავს კემბრიჯის კურიკულუმს. კომპანია ასევე სთავაზობს დამატებით მომსახურებებს, როგორცაა კვების ორგანიზება და ტრანსპორტირება.

სწავლების ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში სწავლის დღეების ზუსტი რაოდენობის გამოყენებით.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, იქამდე, სანამ კომპანია საქონელზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, აღიარებულია, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არის კომპანიის ვალდებულებები გადასცეს ის საქონელი და მომსახურება მომხმარებელს, რისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება.

თანამშრომელთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არა-ფულადი სარგებელი (როგორცაა სამედიცინო მომსახურება) დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სახის იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ოპერაციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან. საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან ყველა ოპერაცია შეფასდება თვითღირებულებით, თუ სხვაგვარად არ არის მოთხოვნილი სხვა ფას-ის მიერ, როგორცაა ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. იმ შემთხვევებში, როდესაც ოპერაციები არ ითვალისწინებს ანაზღაურებას, ისინი შეფასდება ნულით.

ოპერაციები აქციონერებთან. კომპანია აქციონერებთან ოპერაციებს აღრიცხავს თვითღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი სტანდარტი მოითხოვს ოპერაციის რეალური ღირებულებით აღიარებას. აქციონერებთან, მათი, როგორც აქციონერის ფუნქციონირების შედეგად მიღებული ოპერაციების შედეგები, აღირიცხება საკუთარი კაპიტალის საშუალებით.

ცვლილებები ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა კომპანიის მფლობელის დასტური, ვინც ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არა დაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განიცთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებისაგან, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 60 ათასი ლარით ან მისი შემცირება 63 ათასი ლარით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რათა აღრიცხოს შეფასებული ზარალი, რაც გამოწვეულია მომხმარებლების უუნარობით, განახორციელონ საჭირო გადახდები ან მომწოდებლების მიერ შეთანხმებული პროდუქციის ან მომსახურების ვერ მიწოდებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ნაშთების ხანდაზმულობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, მომხმარებლებისა და მომწოდებლების კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან მომხმარებლებისა და მომწოდებლების სპეციფიკურ პირობებში ცვლილებამ შეიძლება საჭირო გახადოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება. განსჯის მიხედვით, 51 ათასი ლარი და 38 ათასი ლარი უკავშირდება 2024 წლის და 2023 წლის ბოლოსთვის მოთხოვნების ანგარიშების ანარიცხებს, შესაბამისად.

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები ძალაში შევიდა 2024 წლის 1 იანვრიდან:

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს).

ზემოაღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია:

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 18 წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 19 შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ინფორმაციის გამჟღავნება (გამოცემულია 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში- ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოცემულია 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს, ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს-ის სააღრიცხვო სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოცემულია 2024 წლის ივლისში და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია კომპანიასა და მასთან დაკავშირებულ მხარეებს შორის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები) ოპერაციების დეტალები:

ათასი ლარი	2024	2023
დაზღვევის ხარჯები	30	25
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	5
სულ	43	30

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები) შემდეგია:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გადახდილი ავანსები	22	19

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. 2024 და 2023 წლებში ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებული თანხები, რომლებიც აღიარებულია, როგორც ხარჯი, შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
მთავარი ხელმძღვანელი პირების ხელფასი	1,604	1,407
სულ	1,604	1,407

8. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი

ათასი ლარი	2024	2023
სწავლება	20,607	19,565
სხვა ამონაგები *	813	1,087
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	21,420	20,652
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	21,420	20,652

(*) სხვა ამონაგები ძირითადად მოიცავს ამონაგებს საგანმანათლებლო ტურებიდან და კლასგარეშე კლუბებიდან მიღებულ ამონაგებს, შიდა და გარე აქტივობებს.

8. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი (გაგრძელება)

ამონაგების აღიარების დრო (ამონაგების თითოეული ნაკადისთვის) შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
დროის გარკვეულ მომენტში	-	-
დროთა განმავლობაში	21,420	20,652
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	21,420	20,652

ცხრილში ქვემოთ, მოცემულია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული ამონაგების ოდენობები, რომლებიც საანგარიშგებო წლის დასაწყისში შეტანილ იქნა სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში:

სწავლებისთვის მისაღები მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები. კომპანიამ ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (a)	147	184
სახელშეკრულებო ვალდებულებები (b)	11,592	10,885

a) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურების მიღების უფლება უპირობოა. იხილეთ შენიშვნა 13.

b) სახელშეკრულებო ვალდებულებების მოძრაობა 2024 და 2023 წლების განმავლობაში შემდეგი იყო:

ათასი ლარი	2024	2023
1 იანვარს	10,885	10,302
აღიარებულია, როგორც ამონაგები წლის განმავლობაში	20,449	19,979
წლის განმავლობაში გადავადებული	21,156	20,562
31 დეკემბერს	11,592	10,885

მოსწავლეთაგან მიღებული სწავლის გადასახადი, როგორც წესი გადაიხდება ავანსად, სასკოლო პროცესის დაწყებამდე და თავდაპირველად აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. ამონაგები აღიარდება პროპორციულად, შესაბამისი სასკოლო წლის განმავლობაში, აკადემიურ დღეებზე დაყრდნობით. მოსწავლეებისგან მიღებული, მაგრამ გამოუმუშავებელი სწავლების საფასურის ნაწილი აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება და აისახება ვალდებულებებში, რადგან ასეთი თანხები წარმოადგენს იმ ამონაგებს, რომელსაც, კომპანია მოელის, რომ მიაკუთვნებს მოგება-ზარალს, მისი სწავლების ვალდებულებების შესრულების დაკმაყოფილებისას.

ამონაგებში 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული საკონტრაქტო ვალდებულებები შემდეგია:

8. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი (გაგრძელება)

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში	11,592	10,885
ერთი წლის შემდეგ მაგრამ არაუმეტეს ორი წლისა	-	-
სულ	11,592	10,885

9. თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი

2024 წლის 31 დეკემბერსა და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი შემდეგი იყო:

ათასი ლარი	2024	2023
ხელფასები	(8,974)	(7,560)
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2,157)	(1,828)
სულ თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	(11,131)	(9,388)

10. სხვა ზარალი

ათასი ლარი	2024	2023
კორპორაციული სტუმარმასპინძლობა და გართობა	(74)	(54)
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(53)	(51)
დაზღვევის ხარჯები	(30)	(25)
მოგზაურობის ხარჯები	(28)	(16)
საბანკო მომსახურება	(19)	(25)
უსაფრთხოების ხარჯები	(12)	(6)
სხვა	(699)	(753)
სულ სხვა ზარალი	(915)	(930)

11. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	ავტომობილები	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ბიზ- ლი- ოთეკის წიგნები	სხვა აქტივები	სულ
<i>ათასი ლარი</i>								
ღირებულება								
2023 წ. 1 იანვრის								
მდგომარეობით	2,675	172	1,568	127	308	183	37	5,070
დამატებები	3,034	-	225	468	71	72	509	4,379
ტრანსფერები	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წ. 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	5,709	172	1,793	595	379	255	546	9,449
დამატებები	-	-	206	162	137	55	425	985
ტრანსფერები	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წ. 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	5,709	172	1,999	757	516	310	971	10,434
დაგროვილი ცვეთა								
2023 წ. 1 იანვრის								
მდგომარეობით	-	-	106	39	28	64	14	252
წლის დარიცხვა	-	-	244	95	53	67	19	478
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წ. 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	-	-	350	134	81	131	33	729
წლის დარიცხვა	-	-	272	133	73	68	129	675
გასვლები	-	-	-	-	-	-	-	-
2024 წ. 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	-	-	622	267	154	199	162	1,404
წმინდა საბალანსო								
ღირებულება								
2023 წ. 1 იანვრის								
მდგომარეობით	2,675	172	1,462	88	280	119	22	4,818
2023 წ. 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	5,709	172	1,443	461	299	124	513	8,720
2024 წ. 31 დეკემბრის								
მდგომარეობით	5,709	172	1,377	490	363	111	809	9,030

11. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი აქტივები 106 ათასი ლარის და 49 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, შეტანილი იყო ძირითად საშუალებებში.

კომპანიამ დააგირავა მისი ძირითადი საშუალებების ნაწილი როგორც უზრუნველყოფა ქართული კომერციული ბანკიდან მისი ნასესხები სახსრებისთვის. კომპანიას არ აქვს უფლება დააგირაოს ეს აქტივები უზრუნველყოფის სახით სხვა ნასესხები სახსრებისთვის ან გაყიდოს ისინი სხვა საწარმოზე ბანკის ნებართვის გარეშე.

12. გადახდილი ავანსები

ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებში მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები	სხვა გადახდილი ავანსები	სულ
სულ გადახდილი ავანსები 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	533	574	1,107
დამატებები	418	2,139	2,557
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	826	2,249	3,075
სულ გადახდილი ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125	464	589
დამატებები	469	2,350	2,819
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	469	2,406	2,875
სულ გადახდილი ავანსები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	125	408	533

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები სწავლებისთვის	149	190
სხვა მოთხოვნები	14	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	163	190
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(51)	(38)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	112	152

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებში (შეფასებულია არსებობის მანძილის საფუძველზე გამარტივებული მიდგომით) 2024 და 2023 წლებისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	2024	2023
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 1 იანვრის მდგომარეობით	40	118
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხის დარიცხვა	73	(2)
ჩამოწერის ანარიცხი	(62)	(78)
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 31 დეკემბრის მდგომარეობით	51	38

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს, რომელიც გულისხმობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ინდივიდუალური შეფასების მიდგომა გამოყენებული. გამარტივებული მიდგომის გამოყენების დეტალებისთვის, იხილეთ შენიშვნა 21. სწავლების სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი შემდეგია:

	არა- ვადაგადაცილ ებული	30-90 დღე	90-180 დღე	180-360 დღე	სულ
2024 წლის 31 დეკემბერი					
მთლიანი საბალანსო ღირებულება	85	78	-	-	163
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	15%	49%	-	-	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	13	38	-	-	51
2023 წლის 31 დეკემბერი					
მთლიანი საბალანსო ღირებულება	43	147	-	-	190
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	10%	24%	-	-	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	7	31	-	-	38

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ შეიცავს პროცენტს.

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები შემდეგი იყო:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ხელზე არსებული ფულადი სახსრები ადგილობრივ ვალუტაში	-	3
ხელზე არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	-	2
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთების ვალდებულებები ადგილობრივ ვალუტაში	25	35
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთების ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2,632	369
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,657	409

მიმდინარე ანგარიშებს ერიცხებათ ყოველწლიური პროცენტი ლარში 8.0 %-10.5% -ის ოდენობით და დოლარში 1.5%-2.0%-ის ოდენობით 2024 და 2023 წლების განმავლობაში. ბანკებში განთავსებულ თანხებზე პროცენტმა სულ შეადგინა 194 ათასი და 140 ათასი ლარი 2024 და 2023 წლების განმავლობაში. კომპანიას ფულადი სახსრები განთავსებული აქვს ბანკში, რომელსაც Fitch Ratings-ის მიხედვით BB- რეიტინგი აქვს 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

15. საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 3,343 ათასი ლარი. 2023 წლის 31 მაისს შპს ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ გაზარდა კომპანიის კაპიტალი არაფულადი შენატანის (მიწის ნაკვეთი) გზით 3,034 ლარით.

2024 და 2023 წელს არ მომხდარა დივიდენდის გამოცხადება.

16. ნასესხები სახსრები

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი	14	-
გრძელვადიანი	247	-
სულ	261	-

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხებ სახსრებში შედის სესხები საქართველოს ბანკებისგან, რომლებიც დენომინირებულია ლარში. სესხები უზრუნველყოფილია კომპანიას არსებული ძირითადი საშუალებების ნაწილით. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებულ პირობებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია კომერციული ბანკებიდან მიღებულ ნასესხებ სახსრებთან, დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 20.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის	-	16
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	48	34
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	48	50

18. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	სახელმწიფო გრანტი	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
დარიცხული საფინანსო ხარჯი	-	-	-
გადახდილი პროცენტი	-	-	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	-	-	-
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	-	-	-
სავალუტო ზარალი	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
დარიცხული საფინანსო ხარჯი	28	3	31
გადახდილი პროცენტი	(26)	(3)	(29)
ნასესხები სახსრების დაფარვა	(17)	(4)	(21)
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	279	38	317
სავალუტო ზარალი	(3)	-	(3)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	261	34	295

19. დარიცხვები და სხვა ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხვები და სხვა ვალდებულებები მოიცავს მოსწავლეთა საგარანტიო დეპოზიტებს და დასაქმებულთა სარგებელს.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოსწავლეთა დეპოზიტები (a)	1,705	1,800
დარიცხვები დასაქმებულთა სარგებლისთვის	80	48
სახელმწიფო გრანტი	34	-
სულ დარიცხვები და ვალდებულებები	1,819	1,848

(a) საგარანტიო დეპოზიტები წარმოადგენს მოსწავლეთა ჩარიცხვისთანავე განხორციელებულ ერთჯერად გადახდებს და ის სრულად ანაზღაურდება, როდესაც მოსწავლე დატოვებს სკოლას. იმ

19. დარიცხვები და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

შემთხვევაში, თუ სკოლებს მიადგებათ რაიმე ზიანი, რომელზედაც პასუხისმგებელია მოსწავლე, ზიანის თანხა დაფინანსდება საგარანტიო დეპოზიტის საშუალებით. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის შესაბამისი სადეპოზიტო თანხა შესულია მოკლევადიან ვალდებულებებში (60 ათასი 2024 წლის 31 დეკემბერს და 43 ათასი 2023 წლის 31 დეკემბერს).

20. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიმართ არანაირი ვალდებულება არ შეიძლება იყოს დაკისრებული საგადასახადო ორგანოების მიერ მას შემდეგ, რაც გავა სამი წელი იმ წლის ბოლოდან, როდესაც დარღვევას ადგილი ჰქონდა.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადეკვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია ვითარდება და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას არ გააჩნია მისი ქონების ან საქმიანობის შეჩერების სრული სადაზღვევო დაფარვა. სანამ კომპანია მიიღებს სათანადო სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

შეთანხმებული პირობები. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებულ პირობებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია კომერციული ბანკებიდან ნასესხებ სახსრებთან. ასეთ შეთანხმებებთან შესაბამისობაში არ ყოფნამ შეიძლება კომპანიისთვის გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის ნასესხები სახსრების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ დაურღვევია სს თიბისი ბანკთან დადებული სასესხო ხელშეკრულებებით შეთანხმებული ფინანსური პირობები.

კლიმატის ცვლილება. კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მოვლენების განვითარების მონიტორინგს.

21. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტის შემცველ სესხს და ნასესხებს სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანია დააფინანსოს კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობები. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, რომლებიც წარმოიქმნება პირდაპირ მისი ოპერაციებიდან. კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდობის რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე და სულ, ორივესთვის, ერთი ღამის ფარგლებში და ერთი დღის ფარგლებში პოზიციებისთვის, რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება. ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკებისადმი დაქვემდებარებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი 1 = 2.8068 ლ	2023 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი 1 = 2.6894 ლ
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,574	255
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	149	190
სულ ფინანსური აქტივები	2,723	445
ფინანსური ვალდებულებები		
ნასესხები სახსრები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16	32
მოსწავლეთა დეპოზიტები	1,713	1,800
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,729	1,832
სულ წმინდა პოზიცია	994	(1,387)

ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლის სავალუტო კურსის გონივრულად შესაძლო მოძრაობის გავლენას ქართულ ლარზე, ხოლო ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ნეგატიური თანხა ცხრილში, ასახავს მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში წმინდა შემცირებას, ხოლო დადებითი თანხა ასახავს წმინდა პოტენციურ ზრდას.

ათასი ლარი	ცვლილება სავალუტო განაკვეთში %	გამყარება	გაუფასურება
2024 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	10.00%	(99)	99
2023 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	10.00%	(139)	139

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმის ალბათობით, რომ

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას მოახდენს სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებზე. კომპანიას დაქვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკისადმი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია კომპანიას გრძელვადიან ნასესხებ სახსრებთან, რომლებსაც გააჩნიათ მცოცავი საპროცენტო განაკვეთები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც კონტრაპენტი, ფინანსური ინსტრუმენტის ან კლიენტის ხელშეკრულების ვალდებულებების მეორე მხარისათვის შეუსრულებლობით, გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანია დაქვემდებარება საკრედიტო რისკს ბანკებში განთავსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამო.

მოთხოვნები. მოთხოვნების ნაშთები მოიცავს სწავლების ამონაგების მოთხოვნებს. კომპანიას დაქვემდებარებაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის კრედიტუნარიანობა. კომპანია ყველა მოთხოვნის საკრედიტო რისკს მართავს მოვალეებთან რეგულარული კომუნიკაციით. მნიშვნელოვანი შეფერხებების შემთხვევაში, კომპანია მომხმარებლისათვის აყალიბებს ინდივიდუალური გადახდების გრაფიკს სწავლის საფასურის მოთხოვნებისთვის.

ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიანი დეპოზიტები. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილის საქართველოში ცნობილ ბანკებში განთავსებით. კომპანიას ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს ბანკების სტატუსს, სადაც დეპოზიტები ინახება, აგრეთვე მსხვილი მომხმარებლების სტატუსს და შესაბამისი მოთხოვნების მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებამ სულ შეადგინა 2,769 ათასი ლარი და 556 ათასი ლარი, შესაბამისად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის იყენებს ინდივიდუალური შეფასების მიდგომას, რადგან სავაჭრო მოთხოვნების პორტფელი შედგება შეზღუდული რაოდენობის მომხმარებლებისგან, რომლებსაც არ აქვთ საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლები.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 2024 წლის 31 დეკემბრამდე ან 2023 წლის 31 დეკემბრამდე 24 თვით ადრე დაწყებული პერიოდების განმავლობაში და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის საფუძველზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება, რათა ასახული იყოს მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელსაც გავლენა აქვს მომხმარებლის უნარზე, მოახდინოს მოთხოვნების ანგარიშსწორება, როგორცაა ინდივიდუალური მომხმარებლის, მათი საქმიანობის სექტორის სამომავლო პერსპექტივები და საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციაზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური ფაქტორები.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს შეასრულოს გადახდის ვალდებულებები, როდესაც მათი დაფარვის დრო მოვა, ნორმალური და სტრესული გარემოებების პირობებში. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს სათანადო რეზერვების, ბანკის და ნასესხები სახსრების რეზერვების საშუალებების შენარჩუნებით, პროგნოზირების და ფულადი სახსრების რეალური ნაკადების მუდმივი მონიტორინგით და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადების პროფილების შეთანხმებით.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია კომპანიას დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისათვის, დაფარვის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, კომპანიას მიერ გადახდის ყველაზე ადრეული თარიღის საფუძველზე. ცხრილებში

21. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

შედის როგორც პროცენტის, ისე ძირითადი ფულადი სახსრების მოძრაობა. თუ საპროცენტო ნაკადებს გააჩნიათ მცოცავი სავალუტო კურსი, არადისკონტირებული თანხა იწარმოება საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან, საანგარიშო პერიოდის ბოლოს. სახელშეკრულებო ვადა ემყარება ყველაზე ადრინდელ თარიღს, რომლის დროსაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა.

ათასი ლარი	მოთხოვნა მდე	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ	საბალანსო ღირებულებები
2024 წლის 31 დეკემბერი							
ნასესხები							
სახსრები	-	12	33	182	207	434	261
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	-	26	22	-	-	-	48
სულ	-	38	55	182	207	482	306
2023 წლის 31 დეკემბერი							
ნასესხები							
სახსრები	-	-	-	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	-	35	15	-	-	-	50
სულ	-	35	15	-	-	-	50

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება. სამართლიანი ღირებულების შეფასებები მიზნად ისახავს იმ თანხის მიახლოებით შეფასებას, რომელზედაც ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა შესაძლებელია საკითხში კარგად გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის ნებაყოფლობითი, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციის დროს. თუმცა გაურკვევლობების და სუბიექტური განსჯის გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც რეალიზებადი, აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების დაფარვისას.

ნასესხები სახსრების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას.

22. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიას მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მესაკუთრეებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიას შეუძლია შეცვალოს მესაკუთრეებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი მესაკუთრეს, ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით. კაპიტალის ოდენობა, რომელიც კომპანიამ მართა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 40,047 ათასი ლარი და 30,022 ათასი ლარი, შესაბამისად.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილება ხელმძღვანელობაში. 2025 წლის პირველ და მესამე კვარტალში დაინიშნა კომპანიის ახალი აღმასრულებელი დირექტორი. ეს ცვლილება გავლენას არ მოახდენს 2024 წელს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოდგენილ ფინანსურ შედეგებზე.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

დივიდენდი და ნასესხები სახსრები. 2025 წლის პირველ ივლისს შპს თბილისის ბრიტანულმა საერთაშორისო სკოლამ გაანაწილა დივიდენდი შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაზე, როგორც 100%-იანი წილის მესაკუთრეზე, 35,914 ათასი ლარის ოდენობით. დივიდენდის განაწილების შედეგად შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაზე გადასახდელი თანხა, თავის მხრივ, სრულად გაიქცითა შპს ბრიტანულ-ქართული აკადემიის მიერ შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულებიდან წარმოშობილ და გადასახდელ თანხაში.

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა, (საიდენტიფიკაციო ნომერი 405351943) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას(შემდგომში, „კომპანია“ ან „სკოლა“). კომპანია დაარსდა 2019 წლის 5 სექტემბერს. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს შვილობილი კომპანია. სკოლის ფაქტიური და იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლეო კვაჭაძის ქ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა სკოლამდელი და სკოლის ასაკის მოსწავლეებისთვის. თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ქ.ბ ქვეპუნქტის შესაბამისად და იგი, ამავე კანონის 341-ე მუხლის საფუძველზე, ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო კერძოდ, Cambridge Assessment International Education -ის Cambridge Pathway-ის პროგრამას, რომელიც საქართველოში აღიარებულია 2024 წლის 23 ივლისის საქართველოს მთავრობის N235 დადგენილების (ხოლო აღნიშნული დადგენილების ამოქმედებამდე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 მარტის №130 დადგენილების) შესაბამისად Cambridge Assessment International Education-სა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს Cambridge Assessment International Education-გან.

სკოლის სასწავლო პროგრამები ხელს უწყობს მოსწავლეების არა მხოლოდ ინტელექტუალურ და აკადემიურ პროგრესს, არამედ ჰოლისტურ განვითარებასა და მათ ჩამოყალიბებას პასუხისმგებლობის მქონე, მზრუნველ ინდივიდებად. თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის კურიკულუმი შესაბამისობაშია დიდი ბრიტანეთის ეროვნულ კურიკულუმთან და იგი მოიცავს კემბრიჯის საერთაშორისო პროგრამებს კემბრიჯის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმიდან (Cambridge Primary) IGSCE & AS/A პროგრამის ჩათვლით. კემბრიჯის პროგრამებს ახორციელებს 10,000-ზე მეტი სკოლა 160-ზე მეტ ქვეყანაში. თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლაში სწავლების ენაა ინგლისური.

სკოლის მისიაა ნდობაზე, პატივისცემასა და ურთიერთმხარდაჭერაზე დაფუძნებულ გარემოში აღზარდოს ცნობისმოყვარე, მცოდნე, მზრუნველი და მაღალი ემოციური ინტელექტის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც გონივრული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეძლებენ კომპლექსური პრობლემების გადაჭრას და წარმატებით ადაპტირდებიან მუდმივად განვითარებად და ცვალებად გლობალურ სამყაროში.

სკოლის თანამედროვე კამპუსი განლაგებულია ლისის ტბის მიმდებარედ.

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის ყველა თანამშრომელი გამოირჩევა მაღალი ეთიკური სტანდარტით. მუდმივად ხდება სწავლების პროცესის მონიტორინგი და გაუმჯობესება. მაღალკვალიფიციური აკადემიური გუნდი დაყოფილია საგნობრივ კათედრებად, რომლებსაც გამოცდილი ადგილობრივი და უცხოელი კათედრის ხელმძღვანელები მართავენ.

2. განათლების ბაზრის შესახებ

ზოგადი განათლების სექტორის შემოსავლები 343 მლნ ლარიდან 939 მლნ ლარამდე გაიზარდა 2009-19 წლებში, გალტ ენდ თაგარტის შეფასებით. აქედან, საჯარო სკოლებმა 2019 წელს მთლიანი შემოსავლის 75.7% მიიღო. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის წილი მზარდია (+8.6 პროცენტული პუნქტი 2009-19 პერიოდში) და 24.3%-ს აღწევს. საჯარო სკოლები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო კერძო სკოლების შემოსავლები გენერირდება როგორც შინამეურნეობების ჯიბიდან გადახდებით ისე, მთავრობის დაფინანსებით (ყოველწლიურად 300 ლარი ერთ მოსწავლეზე, 8.1% წილი მთლიან შემოსავლებში).

ამჟამად, ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში 2,313 სკოლა საქმიანობს, აქედან 2,086 საჯარო და 227 კერძო დაწესებულება. აღსანიშნავია, რომ 149 სკოლა გამოაკლდა სკოლების საერთო რაოდენობას 2009-19 წლებში. აღნიშნული გამოიწვია საჯარო სკოლების ოპტიმიზაციამ (ძირითადად სოფლად) და კერძო სკოლებისთვის ავტორიზაციის მოთხოვნის შემოღებამ, რაც ზოგიერთი კერძო სკოლის დახურვის მიზეზი გახდა. საქართველოში საჯარო სექტორი კვლავ რჩება ზოგადი განათლების მთავარ მიმწოდებლად, თუმცა კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (2.8% CAGR 62.8 ათასამდე 2009-19 წლებში). კერძო სკოლების პოპულარობის მთავარი მიზეზი მომხმარებლის აღქმით მათ მიერ შეთავაზებული განათლების უფრო მაღალი ხარისხია. საქართველოში მოსწავლეების 10.6% სწავლობს კერძო სკოლებში 2019-20 სასწავლო წლის მდგომარეობით, როცა იგივე მაჩვენებელი 2009-10 წელს იყო 7.6%. ზოგად განათლების სექტორში კერძო სექტორის წილით საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს შესადარის ქვეყნებს რეგიონში (2.5%).

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 462-ს, რომელთა 94% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული (2023 წლის 31 დეკემბრის კი მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 515-ს, რომელთა 92% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული).

სკოლის შემოსავალი და წმინდა მოგება 2024 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 21,420 ათას ლარსა და 10,025 ათას ლარს შესაბამისად. (2023 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 20,652 ათას ლარსა და 10,798 ათას ლარს შესაბამისად).

4. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

სკოლა საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული გლობალური ეკონომიკური პირობები;
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა;
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა;
- რეგიონალური პოლიტიკური არასტაბილურობა;
- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნეს რისკები;
- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები;

4. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები(გაგრძელება)

მოთხოვნა კომპანიების მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიების ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც

თავის მხრივ, გავლენას იქონიებს მოსახლეობის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყევების შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, სკოლების ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიკური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

სკოლას არ გააჩნია მნიშვნელოვანი, საკრედიტო, ლიკვიდურობის ან ფულადი ნაკადების რისკები. სკოლა თავისი წლიური მოსაკრებლის უმეტეს ნაწილს წინასწარ იღებს, რაც უზრუნველყოფს ზემოთხსენებული რისკებისაგან დაზღვევას. ყველაზე არსებითი საქმიანობის რისკი, რომელიც ახასიათებს სკოლის ოპერაციებს არის უცხოური ვალუტის გადაფასებასთან დაკავშირებული რისკები, უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევა შესაძლოა ფინანსურად დამაზარალებელი იყოს სკოლისათვის. უპირველესი მექანიზმი რომელიც სკოლას აქვს ამ რისკის დასაზღვევად არის სკოლის საფასურის უცხოურ ვალუტაში დენომინირება, რაც აგენერირებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებს.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები (ასევე სხვა ფინანსური რისკები) და ამ რისკების მართვის მექანიზმები ასევე აღწერილია კომპანიის შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სკოლას არ გააჩნია ბიზნეს რისკები რომელიც დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან ან ეკოლოგიური გარემოს დაბინძურებასთან.

ბადრი ჯირაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2025 წელი

- რეგიონალური პოლიტიკური არასტაბილურობა;
- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნეს რისკები;
- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები;

4. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

მოთხოვნა კომპანიების მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიების ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც


თავის მხრივ, გავლენას იქონიებს მოსახლეობის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყევების შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, სკოლების ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიკური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

სკოლას არ გააჩნია მნიშვნელოვანი, საკრედიტო, ლიკვიდურობის ან ფულადი ნაკადების რისკები. სკოლა თავისი წლიური მოსაკრებლის უმეტეს ნაწილს წინასწარ იღებს, რაც უზრუნველყოფს ზემოთხსენებული რისკებისაგან დაზღვევას. ყველაზე არსებითი საქმიანობის რისკი, რომელიც ახასიათებს სკოლის ოპერაციებს არის უცხოური ვალუტის გადაფასებასთან დაკავშირებული რისკები, უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევა შესაძლოა ფინანსურად დამაზარალებელი იყოს სკოლისათვის. უპირველესი მექანიზმი რომელიც სკოლას აქვს ამ რისკის დასაზღვევად არის სკოლის საფასურის უცხოურ ვალუტაში დენომინირება, რაც აგენერირებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებს.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები (ასევე სხვა ფინანსური რისკები) და ამ რისკების მართვის მექანიზმები ასევე აღწერილია კომპანიის შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სკოლას არ გააჩნია ბიზნეს რისკები რომელიც დაკავშირებულია სამუშაო პროცესთან ან ეკოლოგიური გარემოს დაბინძურებასთან.



ბადრი ჯირაშვილი

დირექტორი

30 სექტემბერი 2025 წელი